



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 687  
03/04/2018

ქალაქი ბათუმი

687-05-4-201804031426



**„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის სატენდერო  
კომისიისა და სატენდერო კომისიის აპარატის შექმნის შესახებ“  
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 17 ნოემბრის  
№2421 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად **ვბრძანებ:**

1. „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის სატენდერო კომისიისა და სატენდერო კომისიის აპარატის შექმნის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 17 ნოემბრის №2421 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) კახაბერ ფუტკარაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვების განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;“

ბ) ბრძანების მეორე პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) მადონა სამნიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვების განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

ბ) მელანო მამულაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვების განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.“

გ) ბრძანების პირველი პუნქტის „ბ“ და „ვ“ ქვეპუნქტები ამოღებული იქნას.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა

A handwritten signature in blue ink, enclosed in a blue oval. The signature is stylized and appears to be the name 'ჯუმბერ ვარდმანიძე'.